

“დასავლეთმა სერიოზული როლი შეასრულა ქართული ეკონომიკის გადარჩენაში”

გაზეთი “კომერსანტი” – 18-25 მაისი, № 17, 2009

ლადო პაპავა, ეკონომიკის ექსპერტი, პროფესორი

-- ბატონო ლადო, იმ ფონზე, როდესაც ხუთი წლის მანძილზე პირველად არ შესრულდა აპრილის ბიუჯეტი, კიდევ ერთხელ გაიუღერა დონორების დახმარების თემამ, როგორ მიდის ეს პროცესი?

--- ბიუჯეტის ვერშესრულება ამ ეტაპზე არ არის არავითარი საფრთხის შემცველი. ვერ შესრულდა საბაჟოს გეგმა და გარდვევამ 400 ათასი ლარი შეადგინა, რადგან არასწორად იყო დაგეგმილი დამატებული დირებულების გადასახადის ამოდება საბაჟოზე. გლობალური კრიზისის გამო ძალიან ბევრ იმპორტულ საქონელზე ფასი შემცირებულია, საზღვრის გადაკვეთის შემდეგ კი გადასახადი განისაზღვრება სწორედ ფასიდან გამომდინარე, შესაბამისად, ნაკლები გადასახადი შევიდა ბიუჯეტში. ეს პრობლემა ეკონომიკურად აიხსნება. იმავდროულად, მთავრობა აცხადებს, რომ წელს უკვე 15 მილიონი ლარით მეტი გადასახადები შეკრიბა, რაც ფაქტობრივად, ამ 400-ათასიან გარდვევას ფარავს. შემდეგ თვეებშიც, რომ რაღაც პრობლემები შეიქმნას, იმასაც უნდა ეყოს.

მაგრამ ჩვენი ბიუჯეტისათვის, უმთავრესი მაინც დონორთა დახმარებაა, რომელსაც საქართველო, როგორც რუსეთის აგრესიის მსხვერპლი იღებს. ყველას კარგად მოეხსენება, რომ რუსეთთან ომის შემდეგ, პირველი სერიოზული განცხადება დახმარებასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ გააკეთა. ამას მოჰყვა მყისიერი რეაქცია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან, რომელმაც საქართველოს 750 მილიონი დოლარი გამოუყო. ამ ფულის მიმღები არის საქართველოს ეროვნული ბანკი. 250 მილიონი უკვე სექტემბერში ჩაირიცხა. ამასთანავე, გაეროსა და მსოფლიო ბანკის ეგიდით, მომზადდა დონორთა კონფერენცია, სადაც გასული წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში ისტორიული გადაწყვეტილება მიიღეს, რომლის თანახმად, საქართველომ 2010 წლის ჩათვლით 4,5 მილიარდი დოლარის ფინანსური მხარდაჭერა უნდა მიიღოს.

აქედან 2 მილიარდი არის გრანტი, ხოლო დანარჩენი – შედავათიანი კრედიტი. ეს პრაქტიკულად აძლევს საქართველოს ეკონომიკას გადარჩენის საფუძველს. თანაც, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ თანხის მიმღები სრულად არ არის საქართველოს მთავრობა: ნაწილს იღებს მთავრობა, რომელიც აისახება საქართველოს ბიუჯეტში, ნაწილს კი – უშუალოდ კერძო სექტორი. იმ თანხებს შორის, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა აისახოს ნაწილი დონორთა მიერ არ არის “მიბმული” რაიმე კონკრეტულ მიმართულებაზე, თუმცა არის თანხები, რომელიც ასევე, უნდა აისახოს ბიუჯეტში, მაგრამ მიზნობრივია.

არის თანხები, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს ბიუჯეტთან და კერძო სექტორში მიდის და თანხები, რომელსაც დონორები თავად განკარგავენ საქართველოში, როგორ საჭიროდაც ჩათვლიან. მაგალითად, იძულებით გადაადგილებულ პირთაოვის დამატებითი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ავიღოთ. ამ პროექტს დონორი განახორციელებს, თავად გამოაცხადებს ტენდერს და პროექტის განმახორციელებელს თავად შეარჩევს. ნებისმიერ შემთხვევაში, ამას საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელობა აქვს, რადგან რა თანხებიც შემოდის, ის ქართულ ეკონომიკას ხმარდება. ასე რომ, ეს არის ძალიან სერიოზული დახმარება. მე ხშირად ვამბობ და აქაც გავიმურებ, რატომ არ არის ქართული ეკონომიკა ჩამონგრეული კრიზისის პირობებში? სწორედ იმიტომ, რომ საქართველომ მიიღო დახმარება, ამას “ომის პარადოქსის” ვეძახი. ომმა გაანადგურა სოფლები, ხალხი, ინფრასტრუქტურა, დააზარალა ქვეყანა, დაკარგულია დროებით ტერიტორიები, რაც საშინელებაა, მაგრამ რომ არა ეს ომი, საქართველოს მთავრობას გლობალური კრიზისის პირობებში არავინ გამოუყოფდა ამხელა ფინანსურ დახმარებას. დღეს მსოფლიო ბანკს, თუ საერთაშორისო საგალუტო ფონდს ძალიან ბევრი ქვეყანა თხოვს ფინანსურ დახმარებას, ზოგს არ აძლევენ, და თუ აძლევენ, ძალიან მოკრძალებულ თანხებს, რამდენიმე ათეულ მილიონს. ჩვენ კი 750 მილიონი გამოგვიყო მხოლოდ საგალუტო ფონდმა, რომელიც არ შედის 4,5 მილიარდიან დახმარებაში. ნიშანდობლივია ისიც, რომ დასავლეთი ამ აგრესიის მიუხედავად, მაინც აგრძელებს რუსეთთან ურთიერთობას, თუ სექტემბერში მისი (დასავლეთის) რიტორიკა ძალიან მკაცრი იყო, დღეს უკვე მნიშვნელოვნად შერბილდა, აღარავინ ლაპარაკობს თუნდაც სოჭის ოლიმპიადის ჩაშლაზე ან სხვაგან გადატანაზე. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ

საქართველომ ამის “საფასურად” მიიღო ეს დახმარება. დახმარების მესამედი უკვე შემოსულია ქვეყნაში და უკვე შეასრულა სერიოზული როლი ქართული ეკონომიკის გადარჩენაში. მოვიყვან თვალსაჩინო მაგალითს, თუ როგორ გადავრჩიოთ საბანკო კრიზისს. ჩვენს ბანკებს პქონდათ საგარეო ვალები, ისინი გლობალურ კრიზისამდე უცხოეთში საკმაოდ იაფ საკრედიტო რესურსს იღებდნენ და საქართველოში განათავსებდნენ, მაგრამ მათი განთავსება აბსოლუტურად მცდარი მიმართულებებით ხდებოდა. ძირითადად, ეს კრედიტები ორი მიმართულებით გაიცემოდა. ერთი – სამშენებლო ბიზნესი იყო, რომელიც თავის მხრივ, ყოველგვარ რეგულირებას იყო მოკლებეული, დავუშვათ როდესაც 12 სართულიანი ბინის მე-12 სართული იყიდებოდა მაშინ, როდესაც საძირკველიც კი არ იყო გათხოვილი, ანუ იყიდებოდა ჰაერი. ამავე დროს, ეწ. დეველოპერულ კომპანიებს პქონდათ აბსოლუტურად შეუსაბამო ხარჯვა, ავიდოთ, ფეშენებელური ოფისები, ძვირად ღირებული ავტომობილები თუ ტექნიკა. ამიტომ სანამ ერთ რომელიმე სახლს დაამთავრებდნენ, ამისათვის მიღებული ფული უკვე დახარჯული პქონდათ და იძულებულები იყვნენ ახალი სახლის მშენებლობა დაწყოთ ძეგლი ვალდებულების შესასრულებლად.

— ანუ იქმნებოდა ფინანსური პირამიდები?

— შეიძლება ითქვას, რომ ბანკებმა გარკვეულწილად, ფინანსური პირამიდები დააკრედიტეს. მეორე ძირითადი მიმართულება ბანკებისთვის იყო – სამომხმარებლო კრედიტების გაცემა. ჩვენ ყველას გვასხოვს ტექნიკის მაღაზიებში საკრედიტო ოფიცრების მთელი არმია, რომლებიც სესხს გვთავაზობდნენ. ცდუნება დიდი იყო, ასე დაგროვდა დიდი ოდენობის ვალი. საბოლოო ჯამში, გამოვიდა, რომ ბანკები აკრედიტებდნენ სამომხმარებლო ტექნიკის შეძენას, რომელიც საქართველოში არ იწარმოება, ანუ უცხოეთიდან მოზიდული საკრედიტო რესურსით უცხოურ წარმოებას აკრედიტებდნენ. ეს ყველაფერი ერთ დღეს აუცილებლად აფეთქდებოდა, რადგან ქართულ ეკონომიკაში არაფერი იქმნებოდა.

ამ ბანკებს მარტის თვეში უწევდათ ვალის გადახდის პერიოდი. საერთო ჯამში ვალები დაახლოებით, ნახევარ მილიარდ დოლარს შეადგენდა. მათ ამის შესაძლებლობა იმ მარტივი მიზეზით არ ჰქონდათ, რომ კრედიტები აღარ ბრუნდება. გადაგვარჩინეს დონორებმა, მათ დაახლოებით, 800 მილიონი დოლარის თანხა გამოუყვეს კერძო ბანკებს, საიდანაც დაიფარა დავალიანება. რა გამოვიდა, საბანკო კრიზისს იმიტომ კი არ გადავურჩიოთ, რომ ჭკვიანები ვართ, არამედ, იმიტომ, რომ დაგვეხმარენ.

— ბატონო ლადო, ომის გარეშეც თუ ელოდათ ბანკებს გაკოტრება?

— რა თქმა უნდა, უბრალოდ, გლობალურმა კრიზისმა დააჩქარა პროცესები და 2008 წლის გაზაფხულზე ევროპის ბაზარზე საკრედიტო რესურსი გაძვირდა, თუ გახსოვთ, ჯერ კიდევ ომამდე საბანკო პროცენტი ძალზედ გაიზარდა.

— დონორების მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით რისი თქმა შეიძლება?

— ის თანხები, რომელიც კერძო სექტორში შემოდის, მგონია, რომ უფრო სწორად წარიმართება.

— კერძო სექტორში მიმართული თანხები მიზნობრივია, ვთქვათ, რამდენად დაეხმარებიან მშენებლობას?

— მშენებლობას არაფერს აძლევენ და მიმაჩნია, რომ ეს არის სწორი მიღგომა, **რაც გასაკოტრებელია, ის, უნდა გაკოტრდეს.**

— ამდენი ხალხი რომ არის ამ ბიზნესში ჩართული?

— რა ვქნათ მერე?! აბა, ბიუჯეტიდან დავაფინანსოთ, სადაც ჩვენ ვიხდით გადასახადს?! ვიღაცამ შეცდომა დაუშვა და მე უნდა ვაგო პასუხი?! შეიძლება ეს მაინც მოხდეს, მაგრამ ეს იქნება ნაბიჯი სოციალიზმისკენ, რაც ძალიან პოპულარულია დღეს მსოფლიოში. უბრალოდ, მე არ ვარ სოციალიზმის იდეების მატარებელი. პოლიტიკურმა ძალებმა შეიძლება თავს მომახვიონ მსგავსი გადაწყვეტილება, მაგრამ პირადად მე, ასეთ პოლიტიკურ ძალას ჩემს ერთ ხმას ნამდვილად არ მივცემ და იგივე თქვენი გაზეთის საშუალებით საზოგადოებასაც ვურჩევ, რომ მხარი არ დაუჭირონ.

— მაშინ რა უნდა ვუყოთ ისეთ ცნებას, როგორიცაა სოლიდარული საზოგადოება?

— საზოგადოება სოლიდარული უნდა იყოს გაჭირვებულის, ხეიბარის, ომის თუ შრომის დროს დაზარალებული ადამიანების მიმართ, მაგრამ სოლიდარული არ უნდა ვიყოთ იმის მიმართ, ვინც ბიზნესი ვერ გათვალა, ან ძალით დაუშვა შეცდომები და დღეს ჩემს ხარჯზე უნდა რომ გამოასწოროს. რაც შეეხება ბანკებს, მათ საკმაოდ შეზღუდუს სადღეისოდ კრედიტების გაცემა, რასაც მივესალმები. გაიზარდა საპროცენტო განაკვეთები, რაც ისევე ობიექტურია, როგორც ის პროცესი, რომლის თანახმადაც საბანკო სექტორში მიდის კადრების შემცირება. კადრები ხელოვნურად იყო გაბერილი, ყველას გვახსოვს, ჩვენი ბანკების მესვეურები როგორ აბარებდნენ პატაკს სააკაშვილს დასაქმების ფსევდო პროგრამასთან დაკავშირებით.

— როგორ შეიძლება, რომ ეკონომიკამაც არ იზარალოს და საზოგადოებამაც?

— შეუძლებელია, მგლებიც მაძღვრები იყვნენ და ცხვრებიც შემოგვრჩეს. ვიდაცა დაზარალდება და უნდა დაზარალდეს კიდევ, თუნდაც იმიტომ რომ მათ შეცდომებზე საზოგადოებამ ჭკუა ისწავლოს და უპრაკუნოდ არ აიღოს და არ გასცეს სესხები. ექსპერტები საზოგადოებას ნამდვილად ვაფრთხილებდით, ჯერ კიდევ 2006 წლიდან ვამბობდი პირადად მე, რომ სამშენებლო ბიზნესი აუცილებლად აფეთქდებოდა. საბანკო სისტემა, რომ გაკოტრებულიყო, მერე დომინოს პრინციპით მთელი ეკონომიკა გაჩერდებოდა. რაც შეეხება თავად დონორების მიერ განხორციელებულ პროგრამებს, აქ ისინი თავიანთი ამომრჩევლების წინაშე არიან პასუხისმგებელი, ამიტომ მაქსიმალურად შეეცდებიან გამჭვირვალედ და ეფექტიანად იქნას თანხები ათვისებული საქართველოში. საქართველოს ბიუჯეტში შესულ თანხებთან დაკავშირებით კი შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს მიერ ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც ფონდი — ღია საზოგადოება საქართველომ დააფინანსა და არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის ფარგლებში გაკეთდა, აღმოჩნდა, რომ არის შემთხვევები, როდესაც ბიუჯეტიან მოპოვებული ინფორმაცია არ მოდის შესაბამისობაში მთავრობის ოფიციალურ განცხადებებთან, თუ რაში წავიდა ეს თანხები, რაც ძალიან ცუდია. ჩემი რეკომენდაცია მარტივია, საჭიროა მაქსიმალური გამჭვირვალეობა. საჭიროა თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ სრული ინფორმაცია მივაწოდოთ, რადგან მოლაპარაკებები კიდევ გრძელდება და ამ მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება სწორედ უკვე მიღებული თანხების ეფექტიან გამოყენებას უკავშირდება.

— ეს ლაფსუსები არაკომპეტენტურობის ბრალია?

— იცით, ჩვენ მსგავს პრობლემას ხშირად ვაწყდებით ხოლმე სხვა დროსაც. ჩვენი ბიუჯეტი ხშირ შემთხვევაში არის ბუნდოვანი, არ არის ადეკვატური ჩანაწერები. 2008 წლის ბიუჯეტში გრაფაში — “რუსეთის აგრესიის გამო უცხო ქვეყნებიდან შემოსული გრანტები”, მითითებული თანხა მხოლოდ ამერიკულ გრანტს შეესაბამება და ამ დროს ვთქვათ დახმარება, რომელიც უკრაინიდან მივიღეთ, ის ცალკეა აღნიშნული, ჰოლანდიაშ რომ მოგვცა, იმ თანხებს საერთოდ ვერ ვპოულობთ. 2009 წლის ბიუჯეტში კი იგივე გრაფაში წერია ნული, მაშინ როდესაც მთავრობა აცხადებს, რომ გრანტი ამ მიზნისათვის მიღებულიათ.

— თუ იცით, რა ეწია ლადო გურგენიძის ინიციატივით გამოშვებულ 500 მილიონი ევროობლიგაციებს?

— 2008 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობამ გააკეთა 500 მილიონი ევროობლიგაციების ემისია, რაც ნიშნავს, რომ საქართველომ ევროპული საფინანსო ბაზრებიდან აიღო 5-წლიანი ვალი, 7,5 წლიური პროცენტით. სამწუხაროდ, არავის გაგვაჩნია ინფორმაცია, თუ სად წავიდა ეს თანხა, უკვე დაიხარჯა თუ ნაწილია მხოლოდ დახარჯული. ეს თანხა 2013 წელს არის დასაბრუნებელი, ამან რა თქმა უნდა გაზარდა საგარეო ვალი. ამას ემატება დონორების მიერ გამოყოფილი 2,5 მილიარდიც. თუმცა ჩემთვის ეს 2,5 მილიარდი აბსოლუტურად გამართლებულია, ის 500 მილიონი კი აბსოლუტურად გაუგებარი. ველოდები, რომ კონტროლის პალატა ერთხელ მაინც გამოიღვიძებს და ის მაინც დაწერს, თუ სად არის ის ფული.

— რამდენად მართებულია ინფრასტრუქტურაში ამხელა თანხის ჩადება?

— ინფრასტრუქტურაში ჩადებული ფული დღეს ყველაზე უფრო გამართლებულად მიმაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში კრიზისია, ინფრასტრუქტურა მაინც უნდა განვითარდეს.

— ასეთი სიმეტრიით?

— როგორც კი იწყებ ეკონომიკის დარგების სუბსიდირებას, იმ წერას იწყება დარგობრივი ლობირების მანკიერი პრაქტიკა. ამიტომ კარგია, როდესაც ასეთი თანხებით ფინანსდება ის, რაც სახელმწიფოს პრეროგატივაა.

— აქ არ არის კორუფცია?

— არის, მაგრამ სხვა სფეროებშიც შესაძლებელია იყოს, ხოლო შენ თუ საწარმოების დაფინანსებას დაიწყებ, დააფინანსებ არაეფექტურაში წარმოებას. დღევანდელ მსოფლიო ეკონომიკაში დგას ისეთი სერიოზული პრობლემა, როგორიც არის ზომბი-ეკონომიკა. პირველად ზომბი ეკონომიკა იაპონიაში, 80-იანი წლების კრიზისის დროს შეიქმნა. მიღებული იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რათა არ გაზრდილიყო უმუშევრობა, ამიტომ დაიწყეს დარგების სუბსიდირება ბანკების მეშვეობით. ეს იყო შეღავათიანი კრედიტები, ხშირ შემთხვევაში ეს ფირმები ამ კრედიტების დამბრუნებლებიც არ იყვნენ, ბანკები ჩამოაწერდნენ მთავრობის ნებართვით ვალებს, თანხებს კი ბიუჯეტიდან იღებდნენ. დამთავრდა კრიზისი, მაგრამ იაპონიაში დღესაც არსებობს ზომბი ფირმები და ზომბი ბანკები, რომლებიც პრაქტიკულად ბიუჯეტის პარაზიტები არიან. მსოფლიოში ეს წმინდა იაპონურ ფენომენად ითვლებოდა, მაგრამ დღეს განგაშის ზარია ამერიკაშიც და ევროპაშიც. ამ

კრიზისის ფონზე უკვე ნათელი გახდა, რომ ზომბი ვირუსი ძალიან საშიშია. ამერიკული გეგმაც კი არის ზომბი ეკონომიკის ხელშეწყობის პროგრამა, აღარაფერს ვამბობ რუსულ გეგმაზე. დავთის მადლით, საქართველოს მთავრობას ზომბი ეკონომიკის შესაქმნელად მნიშვნელოვანი ნაბიჯები ჯერ-ჯერობით არ გადაუდგამს.

— იაფი კრედიტის ინიციატივა?

— 20 მილიონია ჩადებული და მეტი არა. როგორც ეკონომისტი ამას დიდად ვერ მივესალმები.

— აბა, იგივე სოფლის მეურნეობის განვითარებას როგორ უნდა შეუწყოს სახელმწიფომ ხელი?

— საქართველო ყველაზე მძიმე პერიოდშიც კი სოფლის მეურნეობამ გადაარჩინა. სუბსიდირების გზა მთელს მსოფლიოში გამოიყენება და მხოლოდ სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში და უკიდურეს შემთხვევაში ჩვენც შეგვიძლია გავიზიაროთ.

— ამბობენ, რომ ეროვნულ ბანკში საგალუტო რეზერვები 20 პროცენტით შემცირდა.

— ეს ბუნებრივია, ჩვენ უარყოფითი საგაჭრო ბალანსი გვაქვს, იმპორტი ოთხჯერ აღემატება ექსპორტს. გლობალური კრიზისის პირობებში შემცირდა პირდაპირი ინვესტიციები, შემცირდა ჩვენი თანამემამულეების მიერ გამოგზავნილი თანხის რაოდენობაც უცხოეთიდან. აქედან გამომდინარე ჩვენ ოთხჯერ მეტს ვკარგავთ იმპორტზე, ვიდრე ვიძენთ ექსპორტზე. როგორ უნდა შეინარჩუნო ლარის სტაბილურობა თუ არ დახარჯე რეზერვები, რეზერვების შევსების უმთავრესი წყარო კი ისევ დონორების ზემოხსენებული დახმარებაა.

— როგორია თქვენი შეფასება ეროვნული ბანკის ახალ ინიციატივასთან დაკავშირებით, ვგულისხმობ, საგალუტო აუქციონის შემოღებას?

— ეს არის ახალ რეჟიმზე გადასვლა. აქ კატასტროფას ვერ ვხედავ, უბრალოდ, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ უნდა განუმარტოს საზოგადოებას ეს ინიციატივა. ამ მიმართულებით ეროვნული ბანკის პასიურობამ შექმნა მცირედი აუიოტაჟი. რეალურად შეიძლება ამ აუიოტაჟმა ლარის კურსთან მიმართებაში მართლაც გამოიწვიოს არასასურველი ნახტომები.

ელენე ხოზბერიძე